სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ.თბილისი

30.08.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა

და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე);

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი (სააპელაციო საბჭოს მდივანი);

მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თამარ გამსახურდია - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

გიორგი ვეკუა - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითერების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი:
რევაზ აფხაზავა -საბჭოს წევრი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულულებების ავტორიზაციის ექსპერტი - ნოდარ ანგურიძე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

თამარ ესიტაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
მარინე მჭედლიშვილი - სკოლის დირექტორი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლოს დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილა, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26^7-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა განმარტა, რომ **დღის წესრიგში** იდგა მხოლოდ შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

1. **წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის სააპელაციო საჩივრის განხილვა.**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლება დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრს, რევაზ აფხაზავას, რათა მას დაეზუსტებინა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, კერძოდ, რას ეყრდნობოდა საბჭოს პოზიცია.

რევაზ აფხაზავას განცხადებით, გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ჯგუფის წევრების განცხადება იმის თაობაზე, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. კერძოდ, სკოლის შენობაში იყო ორი ინდივიდუალური ერთადგილიანი სველი წერტილი. ერთი სველი წერტილი ვაჟებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე გოგონებისთვის, მასწავლებლებისა და სსსმ მოსწავლისთვის. მან განმარტა, რომ ავტორიზაციის სტანდარტები სველი წერტილების რაოდენობას არ განსაზღვრავს, თუმცა საბჭომ გონივრული ანალიზის საფუძველზე ჩათვალა, რომ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის სველი წერტილები არ იყო საკმარისი. სკოლის წარმომადგენლების მიერ საბჭოს დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე წარმოდგენილი იქნა დამატებითი სველი წერტილების მოწყობის დამადასტურებელი დოკუუმენტაცია. აღნიშნულთან დაკავშრებით განმარტა, რომ საბჭოს გარკვეული ნაწილის ხედვით, აღნიშნული პრობლემა გადაჭრადი იყო, თუმცა ნახევარზე მეტმა მიიჩნია, რომ პრობლემა სრულად არ იყო გადაჭრილი.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზების მიზეზი იყო ის, რომ მესაკუთრემ იჯარის ხელშეკრულება შეუწყვიდა სკოლა „კანდელს", რომელიც ამავე შენობის მე-2 სართულზე ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას ავტორიზაციის შეწყვეტამდე. სკოლა ავტორიზაციამდე ვარაუდობდა, რომ „კანდელი" დროულად დაცლიდა შენობის მე-2 სართულს, თუმცა ასე არ მოხდა. შესაბამისად, სკოლამ ვერ შეძლო დროულად გაეფორმებინა მეპატრონესთან იჯარის ხელშეკრულება, ფართის დამატებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე

სკოლის მფლობელობაში იყო შენობის მე-2 სართულიც, რაც დასტურდებოდა იჯარის ხელშეკრულებით.

საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხელშეკრულებაში სველი წერტილების მოწყობის დასრულების თარიღად მითითებული იყო 25 აგვისტო, შესრულებული იყო თუ არა აღნიშნული პირობა.

სკოლი წარმომადგენლის განმარტებით სველი წერტილების მოწყობა დასრულებული იყო, დამატებით აღნიშნა, რომ შენობის მეორე სართულზე მიმდინარეობდა სამი სველი წერტილის მოწყობა. მან აღნიშნა, რომ გათვალისწინებული ხელსაბანების რაოდენობას დაამატეს კიდევ ერთი ხელსაბანი.

საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა ექიმის კაბინეტთან დაკავშირებით, იყო თუ არა ცალკე, ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტის დროს ექიმის და დირექტორის სამუშაო ოთახი ერთად იყო განლაგებული.

სკოლის წარმოამდგენელმა განმარტა, რომ ექიმის ოთახთან დაკავშრებული პრობლემა სკოლას უკვე მოგვარებული ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სკოლის მიერ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინენბული იყო სხვა ნაწილშიც, კერძოდ, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლამ ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ წესში შეიტანა ცვლილება. ასევე სკოლამ ბრძანებით შეიტანა ცვლილება შინაგანაწესში, თანამშრომელთა შერჩევის პროცედურულ გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ მათი რეკომენდაციით სკოლამ დამატებით ორი კამერა დაამონტაჟა, რომელიც ჰქონდათ, მაგრამ არ იყო დამონტაჟებული.

თავმჯდომარემ გადაწყვეტილების მიღებამდე გამოაცხადა შესვენება.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ შესვენების დასრულების შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაიის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრამდე სკოლას საბჭოს წევრებისგან გაეწია რეკომენდაცია, საკითხის მათ სასიკეთოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის დაემკვიდრებინათ გარე აქტივობები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლოს დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^7-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის(ს/კ 405159590) ავტორიზაციის საკითხი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ, 13:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი

ნინო დობორჯგინიძე